LEVAN MIKELADZE
DIPLOMATIC TRAINING AND
RESEARCH INSTITUTE

გზამკვლევი ტურისტული გიდებისთვის

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი

აპრილი, 2022 წელი

შინარსი

საქართველოს შესახებ 3

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიული ასპექტები 4

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი 6

მნიშვნელოვანი გზავნილები - რუსეთიდან ჩამოსული ტურისტებისთვის 13

ხშირად დასმული კითხვები 14

საქართველოს პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით 18

საქართველო და ნატო..... 21

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 27

რა სახის რეაგირება უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ხელყოფისას 34

პასპორტის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევა..... 35

საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, უცხოეთის ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების საკონტაქტო მონაცემები და სხვა სასარგებლო ინფორმაცია 37

საქართველოს შესახებ

მოკლე ინფორმაცია

სახელი: **საქართველო**

სახელი სხვადასხვა ენებზე:

საქართველოს სახელს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ენაში ძირითადად ერთი ფუძე აქვს და ეს უკავშირდება ბერძნულ "გეორგიას". ამ სახელის ნაირსახეობებია "ჯორჯია-ჟეორჟი-ხეორხია", "გრუზია" და „გურჯისტანი". არის ასევე მეოთხე დასახელება, "ვრასტან", რასაც სომხები უწოდებენ ჩვენს სამშობლოს. "გეორგია" ბერძნულად აღნიშნავს "მიწათმოქმედთა ქვეყანას". სავარაუდოა, რომ ეს დასახელება ძველმა ბერძნებმა აიღეს ქართველთა ერთი ჯგუფის თვითსახელის მიხედვით: მარგალი - მარგვლა. როგორც ვიცით, მიწაზე მუშაობას, ნათესის სარეველასგან გათავისუფლების მიზნით, მარგვლა ჰქვია. მარგალთა ანუ მიწათმოქმედთა ქვეყანა - გეორგია.

ზოგადი მონაცემები:

ტერიტორია: 69 700 კვ. კმ.

მდებარეობა: შავი ზღვის აღმოსავლეთი

სანაპირო, სამხრეთ კავკასია.

მეზობლები: ჩრდ.: რუსეთის ფედერაცია. სამხ.:

თურქეთის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა,

აღმ.: აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

მოსახლეობა: 3.729 მილიონი (01.01.2021)

სახელმწიფო ენები: ქართული და აფხაზური

სახელმწიფო სიმბოლოები:

დროშა:

გერბი:

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიული ასპექტები

ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, მითოლოგიური გადმოცემები, მეორე მხრივ, მაშინდელი წერილობითი და არქეოლოგიური წყაროები.

ჯერჯერობით არ შეგვიძლია ვისაუბროთ ლეგენდარული აიეტის კოლხეთის ამბების არქეოლოგიური მასალით დადასტურებაზე. ეს უდიდესი აღმოჩენები, შესაძლოა, მომავლის საქმეა, მაგრამ ისტორიული წყაროებით შესწავლილი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ისტორია 3000 წელზე მეტს ითვლის.

ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორია უმეტესწილად მოიცავდა სამხრეთ კავკასიასა და წინა აზიას. მათ მიერ შემოფარგლული სახელმწიფოების საზღვრები იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელ სხვა სახელმწიფოებრივ გაერთიანებასთან უხდებოდა თანაარსებობა, ბრძოლა. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით) ყოველთვის შედიოდა იმ გაერთიანებების ფარგლებში, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის ნიშნების მატარებელი იყო.

ქართული სახელმწიფოები საუკუნეების განმავლობაში უზრუნველყოფდა ქართველი ხალხისთვის სასიცოცხლო არეალის დაცვასა და შენარჩუნებას. ამასთან, საქართველოში ყოველთვის ცხოვრობდა ქართველებისგან განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებიც. სხვათაშორის, საქართველოს ძლიერების ხანა - მე-12 საუკუნე - იყო ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ შექმნილი მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური სახელმწიფო.

ქართულ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში უპრეცენდენტო მოვლენა იყო რუსეთის იმპერატორის 1801 წლის აქტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. რუსეთის იმპერია მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში მიზანმიმართულად აუქმებდა ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს და უკვე 70-იანი წლების ბოლოსთვის ქართული ტერიტორია მოქცეული იყო ძირითადად ორ - ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.

რა არის საქართველოს, როგორც დღევანდელი სუვერენული სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლები?

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მთელ მსოფლიოში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, რაც გამოიხატა რამდენიმე იმპერიის რღვევით. მათ შორის, დაიშალა რუსეთის იმპერიაც და საქართველომ 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა (26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი 1919 წლის 12 მარტს დაადასტურა საყოველთაო საარჩევნო

უფლებით ახლადარჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ.). დამოუკიდებლობის ეს აქტი იმითაც იყო გამორჩეული, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად აფუძნებდა სრულიად ახალი ტიპის, რესპუბლიკური მმართველობის სახელმწიფოს. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც გამოირჩეოდა თავისი პროგრესულობითა და ადამიანის უფლებების პატივისცემით მთელს მაშინდელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ უნივერსალურ საერთაშორისო გაერთიანებას (ერთა ლიგა) იურიდიულად არ უღიარებია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული ჰქონდა ბევრ ქვეყანას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარა ყოფილი მეტროპოლიის სამართალმემკვიდრე სახელმწიფომ - რუსეთის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ.

1921 წლის 11 თებერვალს რუსეთის ფედერაციის რეგულარულმა ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები, 25 თებერვალს აიღეს დედაქალაქი ტფილისი, ხოლო 16 მარტს დაასრულეს ქვეყნის ოკუპაცია, ძალადობრივი სოვეტიზაცია. საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება კაპიტულაციის გარეშე საზღვარგარეთ წავიდა და იქიდანაც არ შეუწყვეტია ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესში, 1988-91 წლებში, საქართველო განუწყვეტლად იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის. განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი ამ ბრძოლამ მიიღო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც საბჭოთა საჯარისო ნაწილებმა მშვიდობიანი დემონსტრანტები დახოცეს. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი და ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა შეკითხვას: გსურთ თუ არა აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით დემოკრატიული და მრავალპარტიული წესით არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

რომელმა ქვეყნებმა აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრიობის საწყის პერიოდში?

1991 წლის 9 აპრილს მიღებული დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, აშშ-ის კონგრესმა იმ დღესვე მიიღო რეზოლუცია 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმისა და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრიობის უფლების ცნობის შესახებ. ხოლო პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველო ოფიციალურად ცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, იყო რუმინეთი. 1991 წლის ბოლომდე, საქართველო დამოუკიდებლად ცნეს მეზობელმა ქვეყნებმა,

ბალტიის სამივე ქვეყანამ, აგრეთვე უკრაინამ, ბელარუსმა, მოლდოვამ, ხორვატიამ, ბრაზილიამ, კანადამ, ჩინეთმა, ტაილანდმა. პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოსთან ოფიციალურად დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები იყო ავსტრია.

როგორია საქართველოს მიერ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების არსებული მდგომარეობა?

2022 წლის თებერვლის მდგომარეობით, საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული აქვს 189 სახელმწიფოსთან. ამავდროულად, საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი აქვს რუსეთის ფედერაციასთან, ნიკარაგუასთან და სირიასთან, ხოლო ვენესუელასთან და ნაურუსთან, მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების გამო, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებები შეწყდა.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი

მოკლე მიმოხილვა

1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული რუსეთის ფედერაცია მიზანმიმართულად ახორციელებს აგრესიულ პოლიტიკას მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავს საქართველოს დაბრკოლებას დემოკრატიული, ეკონომიკური განვითარების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

1990-იან წლებში მოსკოვი ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობდა სეპარატისტული განწყობების გაღვივებას საქართველოს ორ ისტორიულ რეგიონში და ამ გზით განაპირობებდა ჩვენი ქვეყნის დესტაბილიზაციას. 2008 წლის შემდეგ რუსეთი ღია აგრესიას ეწევა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, აგრძელებს რა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის უკანონო ოკუპაციას, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების დარღვევით.

რუსეთის ჰიბრიდული ჩართულობა 1990-იან წლების კონფლიქტში

რუსეთის მიერ საქართველოს ორ სუვერენულ რეგიონში სეპარატიზმის წახალისების შედეგად ვითარება შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა 1991-92 წლებში ცხინვალის

რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ხოლო 1992-93 წლებში აფხაზეთის რეგიონში. მიმდინარე ბრძოლებში რუსეთის ფედერაცია ჩართული იყო ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით: შეიარაღებულ დაპირისპირებაში სეპარატისტული ძალების მხარეს იბრძოდნენ რუსეთის მოქალაქე ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები; რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტული სამხედრო ფორმირებები იყენებდნენ რუსეთის სამხედრო ტექნიკას; პერიოდულად ბრძოლებში ერთვებოდა რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებიც. შეიარაღებულ დაპირისპირებას მოჰყვა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ქართველების ეთნიკური წმენდა, რომლის შედეგადაც ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი დღემდე ვერ ახერხებს საკუთარ სახლებში დაბრუნებას.

სტატისტიკა

ეთნიკური წმენდის არაერთი ტალღის შედეგად:

- 1992-93 წლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან/ სამხრეთ ოსეთი გამოიდევნა 300 000 ადამიანი;
- 1998 წელს აფხაზეთის რეგიონის გალის რაიონიდან გამოიდევნა 40 000 ადამიანი.

ცნობა - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში განხორციელებული ეთნიკური წმენდა დადასტურებულია რიგი საერთაშორისო დოკუმენტებით, მათ შორისაა:

- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები; ეუთოს სამიტის დეკლარაციები; ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეების რეზოლუციები და განცხადებები; აგრეთვე „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის" ანგარიში (ე.წ "ტალიავინის ანგარიში").

რუსეთის ფედერაცია 1990-იანი წლების შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგაც განაგრძობდა სეპარატისტული რეჟიმების სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. 2002 წელს კი მოსკოვმა დაიწყო რუსული პასპორტების მასობრივად დარიგების უკანონო პროცესი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, რითაც წინასწარ შეამზადა საფუძველი “რუსეთის მოქალაქეთა დაცვის “საბაბით საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრისთვის.

2008 წლის აგვისტოს ომი

2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ წამოიწყო სრულმასშტაბიანი, ღია სამხედრო აგრესია მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ. რუსეთის ფედერაციის საჯარისო შენაერთებმა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების უხეში დარღვევით, უკანონოდ გადაკვეთეს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი და შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე - ქვეყნის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სივრცეში.

რუსეთის საჰაერო იერიშების შედეგად საქართველოს 12 რეგიონიდან დაიბომბა 9, კერძოდ, 24 სოფელი, 6 ქალაქი, 1 ადმინისტრაციული ერთეული და სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის მთავარი ელემენტები, მათ შორის, ფოთის პორტი, ბაქო-სუფსას მილსადენი, აეროპორტები. ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ - Human Rights Watch-მა დაადასტურა რუსეთის მიერ კასეტური ბომბების გამოყენება სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ.

რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შედეგად ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მთლიანად განადგურდა 53 ქართული სოფელი, გადაიწვა და დაინგრა ეთნიკური ქართველების კუთვნილი 35 000 სახლი. რუსეთის მიზანმიმართული საჰაერო შეტევის შედეგად განადგურდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტყის მასივი 250 ჰექტარზე.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციამ დამატებით 5 ხეობა დაიკავა და მოახდინა კიდევ 125 სოფლის უკანონო ოკუპაცია კოდორის ხეობაში, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონესა და ქსნის ხეობებში.

სტატისტიკა

რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ქართულ მხარეს:

- დაიღუპა 412 ადამიანი (170 სამხედრო მოსამსახურე, 14 პოლიციელი და 228 სამოქალაქო პირი);
- დაიჭრა 1.747 ადამიანი (973 სამხედრო მოსამსახურე, 227 პოლიციელი და 547 სამოქალაქო პირი);
- 130.000 ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი, რომელთაგან 30.000 დღემდე რჩება დევნილობაში.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს მედიაციის ფუნქცია თავის თავზე იტვირთა ევროკავშირმა. შედეგად, 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის დაიდო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომელიც მხარეებს ავალდებულებდა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები და ომამდე არსებულ პოზიციებზე დაებრუნებინათ თავიანთი შეიარაღებული ძალები. საქართველომ იმთავითვე დაიწყო შეთანხმების შესრულება სრული მოცულობით მაშინ, როცა რუსეთის ფედერაციამ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დადების შემდეგაც განაგრძო იერიში საქართველოს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სივრცეში.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ორი რეგიონის - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, რათა ამ გზით გადაეფარა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და ერთგვარი გამართლება მოეძებნა მეზობელი ქვეყნის სუვერენული ტერიტორიების უკანონო ოკუპაციისათვის. ბუნებრივია, მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა ერთხმად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და კვლავ მოუწოდებს რუსეთს, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაცია.

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია დადასტურებულია რიგი საერთაშორისო დოკუმენტებით, მათ შორისაა:

- ევროკავშირის, ნატოს, ეუთოს, ევროპის საბჭოს, ცალკეული ქვეყნებისა და ავტორიტეტული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებები, რეზოლუციები, დეკლარაციები თუ ანგარიშები.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება

2008 წლის აგვისტოს ომიდან 14 წლის თავზე რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის უკანონო ოკუპაციას და დგამს ნაბიჯებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების/სამხრეთ ოსეთი ფაქტობრივი ანექსიის მიმართულებით.

მოსკოვი კვლავაც არ ასრულებს ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებულ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის ნაცვლად, კიდევ უფრო აძლიერებს უკანონო სამხედრო ყოფნას ქართულ მიწაზე. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მილიტარიზაციის პარალელურად, რუსეთის ფედერაცია ეწევა

საოკუპაციო ხაზის გამაგრებას მავთულხლართებისა და ხელოვნური ბარიერების აღმართვის გზით.

სტატისტიკა

საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და ხელოვნური ბარიერების შედეგად:

- 800-ზე მეტმა ოჯახმა დაკარგა წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე;
- შუაზე გაიყო 25-ზე მეტი ოჯახის კარ-მიდამო;
- დანაწევრდა და გაიხლიჩა 35-ზე მეტი სოფელი;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღითიდღე უარესდება უსაფრთხოება და ჰუმანიტარული მდგომარეობა. ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. ხშირია სიცოცხლის უფლების ხელყოფა, წამება და არასათანადო მოპყრობა, ადამიანების გატაცება და უკანონო დაკავება, ცხოვრებისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, საკუთრებისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების დარღვევა და სხვ. მიზანმიმართულად ძლიერდება რუსიფიკაციის პროცესი. მოსკოვი აგრძელებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დარჩენილი ქართველების შევიწროებას და დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით.

შემაშფოთებელ ტენდენციად იქცა ეთნიკური ქართველების წამება და მკვლელობები საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენელთა მხრიდან, რისი დასტურიცაა საქართველოს მოქალაქეების - დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიასა და არჩილ ტატუნაშვილის გახმაურებული საქმეები. 2019 წლის გაზაფხულზე საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, ირაკლი კვარაცხელია, გარდაიცვალა ტყვეობაში აფხაზეთის რეგიონში უკანონოდ განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე.

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. საოკუპაციო ხაზზე აღმართულ ხელოვნურ ბარიერებთან ერთად, საოკუპაციო რეჟიმები პერიოდულად კეტავენ ე.წ. გადასასვლელ პუნქტებს და აწესებენ სხვადასხვა დისკრიმინაციულ ზომებს, რათა ხელი შეუშალონ საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის კონტაქტს.

ამ ფონზე, ნახევარ მილიონამდე იძულებით გადაადგილებულ პირსა და ლტოლვილს კვლავაც არ ეძლევა საკუთარ სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების შესაძლებლობა.

რუსეთის მიმდინარე აგრესიამ თავისი კვალი დაატყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში/სამხრეთ ოსეთი არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსაც. რუსეთი და საოკუპაციო რეჟიმები მიზანმიმართულად ახდენენ უძველესი ქართული ეკლესია-მონასტრების ავთენტიკურობის, აგრეთვე ქალაქების, სოფლების, ქუჩების სახელების

შეცვლას, რათა ისტორიული ნარატივების ფალსიფიკაციით გაამართლონ უკანონო ოკუპაცია და საქართველოს განუყოფელი რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის მითი.

ვითარებას ისიც ართულებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიები დახურულია საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM) ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს არ ეძლევათ იქ შესვლის საშუალება. ბუნებრივია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, როგორც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს.

საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა

ქვეყნის მდგრადი დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესია სამშვიდობო პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელება. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მუდმივი პროვოკაციების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა განუხრელად აგრძელებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ, საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისკენ, ხოლო, მეორეს მხრივ, საოკუპაციო ხაზებით გაყოფილი საზოგადოების შერიგებისა და ნდობის აღდგენისკენ.

საქართველოს ხელისუფლება, საერთაშორისო თანამეგობრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, იყენებს თავის ხელთ არსებულ ყველა დიპლომატიურ და სამართლებრივ ბერკეტს, რათა აღკვეთოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ფაქტობრივი ანექსიის პროცესი, მოახდინოს კონფლიქტის ესკალაციის პრევენცია და უზრუნველყოს მდგრადი მშვიდობა და უსაფრთხოება.

საქართველომ სრულად შეასრულა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება; არაერთხელ დაადასტურა ძალის არგამოყენების ვალდებულება და პირნათლად იცავს ამ საერთაშორისო პრინციპს მაშინ, როცა რუსეთის ფედერაცია კვლავ უარს ამბობს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე.

საქართველო აგრძელებს კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და ძალისხმევას არ იშურებს, რათა ეფექტიანად გამოიყენოს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული მოლაპარაკებების ერთადერთი ფორმატი, რომელიც მიზნად ისახავს უკანონო ოკუპაციიდან მომდინარე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული გამოწვევების გადაჭრას. მოლაპარაკებების ფარგლებში განიხილება რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულება. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ძალების გაყვანის, ძალის არგამოყენებისა და

ადგილზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის საკითხები. აგრეთვე, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების თემა. სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაცია და რუსული საოკუპაციო რეჟიმები მიზანმიმართულად ახდენენ ჰუმანიტარული საკითხების პოლიტიზირებას და ხელს უშლიან მოლაპარაკებების მთავარი საკითხების საგნობრივ განხილვას.

ამავდროულად, საქართველო ჩართულია ჟენევის ფორმატში შექმნილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების (იპრმ) შეხვედრებში გალსა და ერგნეთში, რომლის ფარგლებშიც განიხილება კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებასა და ჰუმანიტარულ საჭიროებებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები. რუსეთისა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის დესტრუქციული მიდგომის გამო, 2018 წლიდან შეჩერებულია გალის ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის (იპრმ) შეხვედრები.

მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებებზე დღემდე ვერ ხერხდება საგნობრივი შედეგების მიღწევა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე, ჟენევის ფორმატი და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმები ისევე, როგორც მათ ფარგლებში მოქმედი ოცდაოთხსაათიანი ცხელი ხაზი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კონფლიქტის ესკალაციის პრევენციას რუსეთის მხრიდან ყოველდღიური პროვოკაციების ფონზე.

პარალელურად, საქართველო აგრძელებს დიალოგის პოლიტიკას რუსეთის ფედერაციასთან, რათა ხელი შეუწყოს ვითარების დეესკალაციას. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი არაფორმალური დიალოგის ფარგლებში მართავს შეხვედრებს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთან, სადაც განიხილება ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული და ჰუმანიტარული საკითხები. საქართველოს მთავრობა აქტიურ ნაბიჯებს დგამს საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების მიმართულებით. ამის დასტურია 2018 წელს წარდგენილი ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც მიზნად ისახავს გაყოფილ საზოგადოებას შორის ჩართულობისა და ურთიერთობების ხელშეწყობას, აგრეთვე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში/სამხრეთ ოსეთი მცხოვრები ადამიანების ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესია ასევე არაღიარების პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება. საქართველო, საერთაშორისო თანამეგობრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, აგრძელებს ძალისხმევას საერთაშორისო არენაზე საქართველოს ისტორიული რეგიონების - აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის შემდგომი კონსოლიდირებისთვის.

როგორ ვესაუბროთ ტურისტებს რუსეთიდან?

მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულ ტურისტებს სრულად მივაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს, როგორც ევროპული სახელმწიფოს, ისტორიული განვითარებისა და თანამედროვე მისწრაფებების შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ რუსული პროპაგანდის წყალობით, იქ მცხოვრებ ადამიანებს ხშირად მწირი ინფორმაცია ან ტენდენციური წარმოდგენა აქვთ საქართველოზე. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში სტუმრობისას მათ სწორი წარმოდგენები შეექმნათ პროპაგანდით გამყარებულ სტერეოტიპებსა და მითებზე. ამ პროცესში კი უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ ტურისტულ გიდებს.

სასურველია, რომ რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულმა ტურისტებმა, საქართველოში დასვენებასთან ერთად, ობიექტური ინფორმაცია მიიღონ აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთი რეგიონების ოკუპაციის საკითხებზე, მათ შორის, ნახევარ მილიონამდე დევნილის ყოფასა და საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების აღმართვის მძიმე შედეგებზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ამავდროულად აუცილებელია, რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული ტურისტები დარწმუნდნენ, რომ ქართველ ხალხში არ არის რუსოფობია და ზიზღი ეთნიკური რუსების და/ან რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის მიმართ. მნიშვნელოვანია, მათ დაინახონ, რომ ქართველი ხალხის ლეგიტიმურ უკმაყოფილებას და პროტესტს იწვევს ის უკანონო ოკუპაცია და პროვოკაციები, რომელსაც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება ახორციელებს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. აღნიშნული კი არავითარ შემთხვევაში არ გადადის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა მიმართ აგრესიასა და სიძულვილში.

მნიშვნელოვანი გზავნილები - რუსეთიდან ჩამოსული ტურისტებისთვის:

- საქართველო დაინტერესებულია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობებით, მაგრამ ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას.

- ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ დღეს კრემლს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული აქვს სამხედრო ბაზები (10.000-ზე მეტი ჯარისკაცით) და ახორციელებს საქართველოს ორი რეგიონის უკანონო ოკუპაციას.

- რუსეთის ჯარის გასვლა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონებიდან შესაძლებელს გახდიდა საქართველოსა და რუსეთს შორის სრულფასოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

- საქართველოს სწრაფვა ევროკავშირისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ არის მოსახლეობის ღირებულებითი და ისტორიული არჩევანი, დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს, რაც ემსახურება ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი და მდგრადი განვითარების მიზანს. აღნიშნული არ არის მიმართული რუსეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ.

ხშირად დასმული კითხვები

რას ამბობს საერთაშორისო სამართალი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით?

საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო - საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანი წევრი, რომლის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობა განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებითა და პრინციპებით.

საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებითა და პრინციპებით, გაეროს წესდების, ეუთო-ს ეგიდით მიღებული აქტების, 1907 წლის ჰააგის რეგულაციების, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა - საქართველოს სახელმწიფოს მკაფიო და ნებაყოფლობით გაცხადებული თანხმობის გარეშე - არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია.

რატომ მიიღო საქართველომ „კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“და რას გულისხმობს იგი?

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს ლეგიტიმურ იურისდიქციას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე (უცხო სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ოკუპაციის გამო), აღნიშნულ ტერიტორიებზე ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი.

2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიების სტატუსს, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებს.

კანონი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგენს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით კერძოდ:

- კანონი კრძალავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ჩრდილოეთიდან შესვლას; შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთების უკანონო კვეთა ექვემდებარება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.
- კანონი კრძალავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერ გარიგებას, რომელიც დადებისთანავე იცნობა ბათილად და არ წარმოშობს სამართლებრი შედეგებს.
- კანონი კრძალავს ნებისმიერ ეკონომიკურ (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის, ფულად გადარიცხვებს, სახელმწიფო რესურსებით სარგებლობას, სარკინიგზო მიმოსვლასა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვას, რომელთა დარღვევაც წარმოშობს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

როგორ შეიძლება კანონიერი გზით შესვლა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე?

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დასაშვებია საქართველოს მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან, კერძოდ, აფხაზეთის რეგიონში - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ხოლო ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში - გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან.

ამასთან, მიზანშეწონილია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მონახულების მსურველებმა წინასწარ შეავსონ სპეციალური სანოტიფიკაციო ფორმა, რომელიც განთავსებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდზე (http://smr.gov.ge). აღნიშნული ფორმა ემსახურება მხოლოდ საინფორმაციო დანიშნულებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არის მძიმე კრიმინოგენული ვითარება (ხშირია უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაყაჩაღება, გატაცება და ა.შ.), ქართული მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, მათივე უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ურჩევს, თავი შეიკავონ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში/სამხრეთ ოსეთი მგზავრობისაგან.

უსაფრთხოა თუ არა საოკუპაციო ხაზთან მიახლოება?

საოკუპაციო ხაზთან მიახლოება არის საფრთხის შემცველი. ვინაიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში საოკუპაციო ხაზის გასწვრივ პატრულირებენ რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (FSB) მესაზღვრეები, რომლებიც ხშირად იტაცებენ და უკანონოდ აკავებენ ადამიანებს საოკუპაციო ხაზის (ე.წ. საზღვრის) „უკანონო“ კვეთის ბრალდებით. გასათვალისწინებელია, რომ რიგ შემთხვევებში რუსი მესაზღვრეები საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიაზეც გადმოდიან ადამიანების დასაკავებლად.

როგორია საქართველოს პოზიცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების მიმართ?

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს საქართველო განიხილავს საკუთარი მოსახლეობის განუყოფელ ნაწილად, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ საქართველოს მოქალაქეობა.

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება იმ პოზიტიურ ვალდებულებას, რომელიც მას აკისრია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საკუთარი მოსახლეობის მიმართ და ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა უზრუნველყოს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობა ზრუნავს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს გაუმარტივოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სიკეთეებსა და მომსახურეობაზე წვდომა, მათ შორისა, უფასო ჯანდაცვაზე, განათლებაზე და სხვ.

რატომ აღიარა რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის /სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობა? ვინ და რატომ მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება?

რუსეთის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების უგულვებელყოფით მიღებული გადაწყვეტილება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ემსახურებოდა

ერთადერთ მიზანს, რომ ერთგვარი გამართლება მოეძებნა საქართველოს ისტორიული რეგიონების უკანონო ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის პროცესისთვის. შესაბამისად, დღეს მოსკოვი უშედეგოდ ცდილობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების უკანონო განლაგება გაამართლოს სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებთან, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ წარმომადგენლებთან, დადებული ე.წ. ორმხრივი „ხელშეკრულებებით“. თუმცა, ბუნებრივია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ერთიანია უკანონო ოკუპაციის შეფასებაში და მუდმივად მოუწოდებს რუსეთს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებისკენ.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან სერიოზული ზეწოლისა და მანიპულაციის შედეგად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების/ სამხრეთ ოსეთი ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ უკანონო გადაწყვეტილებები მიიღეს ვენესუელას, ნიკარაგუას, ნაურუსა და სირიის მთავრობებმა. აღსანიშნავია, რომ ქართული დიპლომატიის აქტიური ძალისხმევისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, ვანუატუმ და ტუვალუმ 2013 და 2014 წლებში შეცვალეს თავიანთი წინა გადაწყვეტილებები და მხარი დაუჭირეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. დღეს ამ ქვეყნებთან საქართველო ინტენსიურად ავითარებს ორმხრივ თანამშრომლობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვენესუელას დროებითმა პრეზიდენტმა ხუან გუაიდომ, აგრეთვე სირიის ოპოზიციურმა ძალებმა ღიად დაუჭირეს მხარი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

რატომ გაწყვიტა საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან?

2008 წლის 2 სექტემბერს საქართველომ რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა, საქართველოს მიმართ ჩადენილი მტრული ქმედების, კერძოდ, რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და საქართველოს სუვერენული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების გამო.

საქართველოს პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით

- საქართველოს მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში არის მტკიცე და შეუქცევადი.
- რუსეთის მიერ განხორციელებული წინასწარგანზრახული და არაპროვოცირებული სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, არის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და ნორმების, გაერო-ს წესდების უხეში და აშკარა დარღვევა, აგრეთვე უპრეცედენტო გამოწვევა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურისთვის.

პოლიტიკური მხარდაჭერა

საქართველო სოლიდარულია უკრაინის მიმართ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ძლიერი პოლიტიკური და დიპლომატიური ნაბიჯებით, როგორც ორმხრივ, ასევე საერთაშორისო პლატფორმების საშუალებით. ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს ისტორიული მეგობრობა, ჩვენ ასევე ვიზიარებთ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას;

საქართველოს მთავრობის უმაღლესი დონის ოფიციალური პირები აკეთებენ არაერთ საჯარო განცხადებას, სადაც ხაზგასმულია რუსეთის სამხედრო აგრესიის მიუღებლობა სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ;

თებერვლის დასაწყისში, უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიამდე, მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია უკრაინაში შესაძლო სამხედრო ესკალაციის შესახებ, რომელიც გმობს სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ განზრახვას.

საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, განსაკუთრებით ბოლო მოვლენების გათვალისწინებით, მხარს უჭერს უკრაინას განცხადებებით ან სხვა ფორმებით (სრული სია იხილეთ დანართში):

- საქართველომ თანასპონსორობით გაეროს-ს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია „აგრესია უკრაინის წინააღმდეგ“;
- საქართველომ მხარი დაუჭირა ეუთო-ს ე.წ. მოსკოვის მექანიზმის ამოქმედებას (მიზნად ისახავს რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის გავლენის გამოძიებას, მათ შორის ომის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესაძლო შემთხვევების შესახებ);

- საქართველომ თანასპონსორობით მიიღო გაეროს HRC49 რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს რუსეთს პასუხისმგებლობის დაკისრებას უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის გამო;
- საქართველომ მხარი დაუჭირა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებას რომლის თანახმად რუსეთის ფედერაციას შეუჩერდა მინისტრთა კომიტეტსა და საპარლამენტო ასამბლეაში წარმომადგენლობის უფლება;
- საქართველომ მხარი დაუჭირა მინისტრთა კომიტეტის 2022 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად შეწყდა რუსეთის წევრობა ევროპის საბჭოში;
- საქართველო იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც უკრაინაში არსებულ ვითარებასა და იქ ჩადენილ სამხედრო დანაშაულებზე მიმართეს ICC-ის პროკურორს.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები კიევში, ოდესასა და ლვოვში აგრძელებენ მუშაობას მათთვის, ვისაც სჭირდება დახმარება.

რუსეთის ფინანსური სისტემის სანქციების ქვეშ მოქცევის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს დაავალა ფუნქციონირება ამ ფინანსური შეზღუდვების შესაბამისად.

ჰუმანიტარული დახმარება

საქართველოს მთავრობა უკრაინას ომის დაწყების დღიდან უწევს მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ დახმარებას, ასევე ეხმარება დახმარებას უწევს საქართველოში ჩამოსულ უკრაინის მოქალაქეებს:

- საქართველომ გამოყო 1 მილიონი ლარი ($315,457 / €279,842) მთავრობის სარეზერვო ფონდიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად;
- ამ დრომდე უკრაინაში გაიგზავნა 380 ტონამდე ჰუმანიტარული ტვირთი (27 თებერვალს 100 ტონა გაიგზავნა საჰაერო გზით, როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარება, მათ შორის სისხლი, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვა უკრაინამ, დამატებით 42 ტონა გაიგზავნა საჰაერო გზით და დამატებითი 133 ტონა გაიგზავნა სახმელეთო გზით)
- მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა მაქსიმალური მხარდაჭერა გაუწიოს უკრაინიდან დევნილებს;
- უკრაინის მოქალაქეებისთვის მოქმედებს რამდენიმე ცხელი ხაზი და შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მთავრობა უზრუნველყოფს - განთავსებას, საჭირო ნივთებს, ტანსაცმელს, საკვებს, შესაბამის სამედიცინო მომსახურებას (ბავშვთა ფსიქოლოგის დახმარების ჩათვლით), სკოლებსა და საბავშვო ბაღებში მომსახურებას;

- მთავრობამ გამოაცხადა სპეციალური ზრუნვის პროექტი უკრაინელებისთვის, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებას რუსეთის აგრესიის შემდეგ. პროექტი ითვალისწინებს სასტუმროში განთავსებას, კვებას და ყველა საჭირო ნივთის მიწოდებას უფასოდ;
- უკრაინის მოქალაქეებისთვის უფასოა მუნიციპალური ტრანსპორტი, მუზეუმები, გალერეები და ა.შ.
- მთავრობის გარდა, კერძო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ცალკეული მოქალაქეები ასევე სთავაზობენ უკრაინის მოქალაქეებს საცხოვრებელს, საკვებს, ტანსაცმელს და სხვ.

პოზიცია სანქციებთან დაკავშირებით

საქართველო შეერთებულია ევროკავშირის შემზღუდველ ზომებს ყირიმისა და სევასტოპოლის წინააღმდეგ 2014 წლიდან.

2022 წლის 28 თებერვალს საქართველო შეუერთდა შემზღუდველ ზომებს დონეცკისა და ლუგანსკის მიმართ.

საქართველო-უკრაინის პარტნიორობა

საქართველო და უკრაინა მჭიდროდ და ნაყოფიერად თანამშრომლობენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში შექმნილი ასოცირებული ტრიოს ფორმატში, ასევე ნატო-ში ინტეგრაციისა და შავი ზღვის უსაფრთხოების სფეროში. ჩვენმა ორივე ქვეყანამ მკაფიო არჩევანი გააკეთა დასავლურ ალიანსებში ინტეგრაციაზე.

უკრაინის შემდეგ, საქართველომ წარადგინა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2022 წლის 3 მარტს მოაწერა ხელი ოფიციალურ განაცხადს და იმედი გამოთქვა, რომ ეს ისტორიული პროცესი საქართველოს ევროპულ ოჯახში გაწევრიანებას მიგვიყვანს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა მიიღო უკრაინის პრეზიდენტის ვლადიმერ ზელენსკის ინიციატივით შექმნილი „ყირიმის პლატფორმის“ სამიტში, რომელშიც მონაწილეობდა 40-ზე მეტი ქვეყნის ლიდერი და მიზანი იყო ყირიმის მშვიდობიანი დეოკუპაცია.

გრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა სუამ-ის ფარგლებში (დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია, წევრები - საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა, შტაბბინა - კიევი).

ჩვენ გვერდში ვუდგავართ უკრაინელ მეგობრებს და ვაგრძელებთ ძლიერ პოლიტიკურ მხარდაჭერას ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე.

საქართველო და ნატო

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ნატოში გაწევრიანების აქტიური მხარდამჭერია, ამასთან, მთავარ პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეულია კონსენსუსი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების საკითხზე. 2008 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად მოსახლეობის 77%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს გაწევრიანებას ალიანსში. მას შემდეგ მაღალი სახალხო მხარდაჭერა გრძელდება. ბოლო გამოკითხვებით (NDI-ს კვლევა, 2022 წლის იანვარი) საქართველოს მოქალაქეების 77% მხარს უჭერს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ნატო-ში გაწევრიანების მიზანი ასევე ასახულია საქართველოს ახალ კონსტიტუციაშიც.

ნატო - საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, ფაქტობრივად, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე წლებიდან. 2002 წელს კი, ნატოს პრაღის სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი.

2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. ეს გადაწყვეტილება დადასტურდა ნატოს ყველა შემდგომ სამიტზე. 2011 წლიდან საქართველო ოფიციალურად გახდა ნატო-ს ასპირანტი ქვეყანა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ნატო-საქართველოს ურთიერთობები დინამიურად ვითარდებოდა და თანამშრომლობა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. წევრმა სახელმწიფოებმა არაერთხელ დააფიქსირეს, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი ნატო-ში გაწევრიანებისათვის მოსამზადებლად. საქართველო აქტიურად იყენებს ინტეგრაციის ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა ნატო-საქართველოს კომისია (NGC), წლიური ეროვნული პროგრამა (ANP) და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP).

ნატო-საქართველოს კომისიის ფორმატს საქართველო წარმატებით იყენებს ალიანსთან პოლიტიკური დიალოგისა და პრაქტიკული თანამშრომლობისათვის. ყოველწლიურად იმართება ოცამდე კომისიის სხდომა.

წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში საქართველო გეგმავს და ახორციელებს რეფორმებს ხუთი ძირითადი მიმართულებით - პოლიტიკური და ეკონომიკური, თავდაცვა, რესურსები, უსაფრთხოება და სამართლებრივი საკითხები. წლიური ეროვნული პროგრამა არის ალიანსის ძირითადი მექანიზმი ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების პროცესის შეფასებისა და ზედამხედველობისთვის.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) 2014 წლის უელსის სამიტზე სპეციალურად საქართველოსთვის მინიჭებული უნიკალური ფორმატია. პაკეტის მიზანია გააუმჯობესოს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობები, გააძლიეროს მისი მდგრადობა, გაზარდოს ნატო-სთან თავსებადობა და ხელი შეუწყოს ნატო-ში გაწევრიანებისათვის მზადების პროცესს. 2020 წელს საქართველომ და ნატო-მ მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განახლების თაობაზე, რომლის შედეგადაც არსებულ პროექტებს დაემატა სამი ახალი მიმართულება და ამჟამად პაკეტის ფარგლებში მიმდინარეობს 16 პროექტი. წლების მანძილზე არსებითი პაკეტის განხორციელებაში ჩართული იყო ნატო-ს ყველა წევრი და ორი პარტნიორი (შვედეთი და ფინეთი) ქვეყანა.

საქართველომ წლების განმავლობაში დაამტკიცა, რომ მას შესწევს უნარი წვლილი შეიტანოს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ავღანეთის „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების“ (ISAF) ოპერაციაში, სადაც 1500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურით ნატო-ს არაწევრ ქვეყნებში უმსხვილეს კონტრიბუტორს წარმოადგენდა. ქართველი ჯარისკაცები მხარდამხარ იბრძოდნენ უსაფრთხოების შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვის და ხელს უწყობდნენ საერთაშორისო ძალისხმევას ავღანეთში ტერორიზმის აღმოფხვრის საკითხში. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ რეგიონში - ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდნენ ეროვნული შეზღუდვების გარეშე. 2014 წელს ISAF-ის მისიის დასრულების შემდგომ საქართველო გახდა „მტკიცე მხარდაჭერის “(Resolute Support Mission - RSM) მისიის მონაწილე ქვეყანა და 2021 წლის მაისამდე 870 სამხედრო მოსამსახურით ერთ სულ მოსახლეზე ოპერაციის უმსხვილესი კონტრიბუტორი ქვეყანა გახლდათ. 2015 წლიდან საქართველო ასევე მონაწილეობს ნატოს რეაგირების ძალებში. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ალიანსთან შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე, რაც წარმოადგენს კიდევ ერთ სფეროს, სადაც საქართველო არის უსაფრთხოების მიმწოდებელი. 2016 წელს საქართველომ გამოხატა მზადყოფნა ჩართულიყო და საკუთარი წვლილი შეეტანა ნატოს ძალისხმევაში შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით. ამჟამად ქვეყანა აგრძელებს ორივე მხარისთვის სასარგებლო თანამშრომლობას კონკრეტული ერთობლივი ინიციატივების თაობაზე ნატო-ს 2018 წლის ბრიუსელის სამიტის, ვაშინგტონის 2019 წლისა და ბრიუსელის 2020 წლის საგარეო საქმეთა მინისტერიალების გადაწყვეტილებების შესაბამისად. საქართველო ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე თავსებადი პარტნიორია. 2014 წლიდან ქვეყანა სარგებლობს ნატო-ს გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის სტატუსით (Enhanced Opportunities Partner – EOP), ალიანსის ოთხ პარტნიორ ქვეყანასთან ერთად (ავსტრალია, იორდანია, შვედეთი და ფინეთი).

მითები ნატო-ს შესახებ

საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება, სანამ ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა არ მოგვარდება.

ნატო-ს არცერთ სამართლებრივ დოკუმენტში არ არის მითითებული, რომ ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები ხელს შეუშლის ნატო-ში გაწევრებას. ერთადერთი სავალდებულო დოკუმენტი, სადაც ნატო-ში გაწევრების აუცილებელ კრიტერიუმებზეა საუბარი, ალიანსის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლია. მე-10 მუხლის მიხედვით, ნატო-ს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მოიწვიონ ალიანსში ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში. ამ კრიტერიუმებით, საქართველოს შეუძლია გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყანა, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ნატო-ს ისტორიის მანძილზე ქვეყნის ალიანსში გაწევრიანება მეზობელთან საზღვრების დაუდგენლობის შემთხვევაში მაინც მომხდარა. 2004 წელს, ნატო-ში გაწევრებისას ბალტიის ქვეყნებს საზღვრების დემარკაციის საკითხები არ ჰქონდათ მოგვარებული რუსეთთან, ამ უკანასკნელის მხრიდან პროცესის გაჭიანურების გამო. მიუხედავად ამისა, ნატო-მ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ბალტიის ქვეყნები ნატო-ში მიეწვიათ არსებული მდგომარეობით და შემდგომ, მოლაპარაკებების გზით, მოეგვარებინათ არსებული ტერიტორიული საკითხები რუსეთთან. ლატვიამ, გაწევრიანებიდან მალევე, 2007 წელს გააფორმა ხელშეკრულება რუსეთთან საზღვრის დადგენის შესახებ, ესტონეთმა კი ჯერ 2005 წელს, შემდგომ კი 2014 წელს მოაწერა ხელი სასაზღვრო შეთანხმებას, თუმცა ხელშეკრულება ჯერჯერობით ძალაში არ შესულა.

საქართველოს, ნატო-ში გაწევრების სანაცვლოდ, მოუწევს უარის თქმა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე.

ნატო-ში გაწევრება არ ნიშნავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უარის თქმას! სინამდვილეში, ნატო მყარად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ალიანსის პოზიციით, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ნატო მუდმივად მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოდან.

არც დასავლეთი და არც ჩრდილოეთი - საქართველოსთვის საუკეთესო ვარიანტი ნეიტრალიტეტია!

ნეიტრალიტეტის გამოცხადება საერთაშორისოდ აღიარებულ შეთანხმებას უნდა ეფუძნებოდეს. კერძოდ, ნეიტრალური სახელმწიფო იქმნება მაშინ, როცა ძლიერი სახელმწიფოები აღიარებენ ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტს და ამავდროულად, წარმოადგენენ ამ სტატუსის გარანტორებს. შვეიცარიამ, ავსტრიამ და თურქმენეთმა მუდმივი ნეიტრალიტეტი საერთაშორისო შეთანხმებებით მიიღეს.

რაც შეეხება გარანტიებს, საქართველოს შემთხვევაში სულ მცირე ერთ-ერთი მეზობელი - რუსეთი ვერ გახდება ნეიტრალიტეტის გარანტორი, ვინაიდან თავად რუსეთს აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები. ნეიტრალიტეტის შენარჩუნება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მხოლოდ ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანას შეუძლია დამოუკიდებლად თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ნეიტრალიტეტი გულისხმობს მთელ რიგ ვალდებულებებსაც: ქვეყანა არ უნდა მონაწილეობდეს არცერთ სამხედრო კონფლიქტში; ასევე, დაუშვებელია მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ჯარის გადაადგილება და მით უმეტეს, სამხედრო ბაზების არსებობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის თემით მანიპულაცია ახალი არ არის. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო და სანაცვლოდ საქართველო ფაქტობრივად ნეიტრალიტეტზე დაითანხმა (საკუთარ ტერიტორიაზე „მტრულად განწყობილი ქვეყნების ჯარების არგანლაგება“). ამ გზით საქართველომ მოკავშირეების შეძენის თეორიულ შანსზეც კი უარი თქვა და ამის წყალობით 1921 წელს იგი იოლად დაიპყრო რუსეთმა, დაარღვია რა ერთი წლით ადრე საქართველოსთან გაფორმებული შეთანხმება.

თანამედროვე ისტორიაშიც არსებობს მაგალითი იმისა, თუ როგორ უგულებელყო რუსეთმა ქვეყნის ნეიტრალიტეტი. 1994 წელს მოლდოვის რესპუბლიკამ ნეიტრალიტეტი კონსტიტუციით გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მოლდოვის რესპუბლიკას დნესტრისპირეთის რეგიონში გაყინული კონფლიქტის პრობლემა აქვს, სადაც სწორედ რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ 2010 წელს უკრაინამ საკანონმდებლო დონეზე დაადგინა „ბლოკგარეშე“ სტატუსი, თუმცა ამან ვერ იხსნა რუსეთის აგრესიისაგან ყირიმსა და დონბასის რეგიონში, რის შემდეგაც უკრაინის უმაღლესმა რადამ საკანონმდებლო ცვლილებებით გააუქმა ეს სტატუსი.

საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობით, საქართველოს შეიარაღებული ძალები სხვის ომში იბრძვიან.

საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობით:

- საქართველოს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.
- სამხედრო მოსამსახურეები უნიკალურ სამხედრო გამოცდილებას იძენენ, რის შედეგადაც ვითარდება საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები. ამ გამოცდილებით საქართველოს ჰყავს მაღალ დონეზე მომზადებული და ნატო-ს სტანდარტებთან სრულად თავსებადი ჯარი. ეს კი ქვეყნის განვითარების გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს.
- ქართველი ჯარისკაცები სამაგალითოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და ღირსეულად წარმოადგენენ საქართველოს ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან, რაც საქართველოს სანდო პარტნიორად წარმოაჩენს.
- სანდო პარტნიორის სტატუსით, საქართველოს საკითხი მუდმივად აქტუალურია საერთაშორისო დონეზე, რაც ხელს უწყობს ნატო-ს მხრიდან საქართველოსადმი მყარი მხარდაჭერის გაგრძელებას.

ნატო-ში გაწევრებისთვის საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობა ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ამით საქართველო იზიარებს კოლექტიური უსაფრთხოების პასუხისმგებლობას და შესაბამისად, წარმოადგენს, არა მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელს, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამონაწილეს, რაც ნატო-ში გაწევრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საინტერესო ფაქტები

ნატო-სთან თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი- წლიური ეროვნული პროგრამა არის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) ნაწილი, ანუ ამ პროგრამას ახორციელებს ის ასპირანტი ქვეყანა, რომელსაც მინიჭებული აქვს MAP. საქართველო კი გამონაკლისი შემთხვევაა, რომელიც MAP-ის გარეშე უკვე მე-14 ANP-ის წარმატებით განხორციელების პროცესშია.

- ჩრდილოატლანტიკური საბჭო (NAC), რომელიც ალიანსის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, საქართველოს ხუთჯერ ეწვია. უკანასკნელად NAC-ი ქვეყანას 2019 წლის 3-4 ოქტომბერს ქ. ბათუმში ეწვია.

  2017 წელს საქართველოში გაიმართა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესია, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან საპარლამენტო ასამბლეა ნატო-ს არაწევრ ქვეყნებში მხოლოდ ოთხჯერ ჩატარდა და დღეს ოთხივე ქვეყანა (ბულგარეთი, ლიტვა, რუმინეთი, უნგრეთი) ნატო-ს წევრია.

- საქართველოს შავი ზღვის პორტებს (ფოთსა და ბათუმში) ყოველწლიურად სტუმრობს ნატო-ს წევრი ქვეყნების გემებისგან შემდგარი ჯგუფი.

საქართველომ განვითარების რთული გზა განვლო. მისი წინსვლის თავისებურებები ყოველთვის მომავლის განსაზღვრის არჩევანით იყო განპირობებული. ისტორიულად, ქვეყნის შიგნით მართული პროცესები ფუნდამენტურად ასახავდა მის სწრაფვას თავისუფლებისკენ და სამართლიანობისკენ. სწორედ უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, სათავეს იღებს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან ქართული იდენტობის შერწყმის პროცესი. დასავლური ცივილიზაციის მსგავსად, კოსმოპოლიტიზმი საქართველოს ქრისტიანული ეთიკისა და ჩვეულების სამოქალაქო გამოხატულების დამკვიდრებულ ფორმას წარმოადგენდა. ქართული თანამედროვე მწერლობა, მისი თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიციით, ევროპული აზროვნების განუყოფელ ნაწილად იქცა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, მისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, ყოველთვის გახსნილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ეს განპირობებული იყო ქვეყნის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით, რამაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ქვეყანაში ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების შემოდინებას, ტოლერანტობისა და თავისუფლების იდეისაკენ სწრაფვას. საქართველოსთვის ევროინტეგრაციის პროცესი მისი ისტორიული როლის განგრძობითობაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის უნივერსალური უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვას, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისა და ვაჭრობის განვითარებას და სხვა. საქართველოს თანამედროვე მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა მისი ევროპული ცნობიერების შენების ყველაზე ნათელ მანიფესტაციას წარმოადგენს და ეს პროცესი შეუქცევადია. ქართულ საზოგადოებაში არა ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველო ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია, რასაც, უპირველეს ყოვლისა, საერთო ფასეულობები განაპირობებს. ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ეს პროცესი გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციით. საერთო ფასეულობებზე, ძლიერ დემოკრატიულ ინსტიტუციებზე, კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებზე, სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობასა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შენებით საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი.

ევროკავშირის წევრობისკენ ქვეყნის სწრაფვის საფუძველს იძლევა ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლი, რომლის თანახმად ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას შეუძლია განაცხადი გააკეთოს წევრობაზე, რომელიც აკმაყოფილებს კოპენჰაგენის კრიტერიუმებს.

დღეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები უმაღლეს ნიშნულზეა: ხელმოწერილია და წარმატებით ხორციელდება ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით, საქართველოს მოქალაქეებზე მოქმედებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, დღითიდღე ღრმავდება სექტორული

თანამშრომლობა, საქართველო გახდა ენერგოგაერთიანების ხელშემკვრელი მხარე და ჩაერთო ტრანსევროპულ სატრანსპორტო ქსელში. საქართველო ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის აქტიური წევრია, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე დამატებით მექანიზმებს გვთავაზობს. ამ ყველაფერმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ხარისხობრივად ახალ, უფრო მაღალ დონეზე აიყვანა და ქვეყანას ევროკავშირთან სიღრმისეული პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივა მისცა.

ქვეყნის მიერ მიღწეულ პროგრესზე მეტყველებს ასევე საქართველო- ევროკავშირის გაძლიერებული პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობის ახალი ფორმატები, კერძოდ, ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის უმაღლესი დონის შეხვედრები, მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგი უსაფრთხოების საკითხებში და დიალოგი ტრანსპორტის სფეროში.

სწორედ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლის მოცემულობა, და ასევე, ის, რომ საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე საკმაოდ დაწინაურდა ბოლო უახლოესი წლების მანძილზე, გახდა მიზეზი, რომ 2020 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ დადო პირობა 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთებასთან დაკავშირებით. 2022 წლის დასაწყისში უკრაინაში რუსეთის უკანონო შეჭრით და სამხედრო აგრესიით გამოწვეულმა ახალმა რეალობებმა, მათ შორის, ასოცირებული ტრიოს ევროკავშირში დაჩქარებული წესით გაწევრიანების საკითხთან მიმართებით საერთო ევროპული სოლიდარობის ფონზე, ქვეყნის ხელმძღვანელობა მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე განაცხადი დაგეგმილზე ადრე, უკვე 2022 წ. მარტში დაეყენებინა. შესაბამისად, ევროკავშირის ინსტიტუციების მესვეურებს, ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის საფრანგეთის პრეზიდენტს ოფიციალურად გადაეცა საქართული მხარის განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. უკვე 2022 წლის 8 მარტს ევროკავშირის საბჭომ ევროკომისიას ოფიციალურად მიმართა საქართველოს (ისევე როგორც უკრაინისა და მოლდოვას) განაცხადის საფუძველზე ქვეყნის მზაობაზე მოსაზრების წარმოდგენა. აღნიშნული გადაწყვეტილებით ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობა გაეხსნა.

ასოცირების შეთანხმება

2014 წელს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, საქართველოს ურთიერთობები სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერიდან დღემდე მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ევროკავშირთან როგორც საკანონმდებლო ჰარმონიზაციის, ასევე ინსტიტუციური დაახლოების კუთხით. განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები კანონის უზენაესობისა და ადმიანის უფლებების დაცვის, ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ენერგეტიკისა და სხვა სექტორალური მიმართულებებით.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება

ასოცირების შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაწილის - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების - ძალაში შესვლის დღიდან საქართველოსთვის გაიხსნა ევროკავშირის 450 მილიონიანი ბაზარი. გაიზარდა საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე, ხოლო ევროკავშირი გახდა საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი. საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე რეგულარულად ხორციელდება სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქციის ექსპორტი როგორიცაა ქართული კივი, მოცვი, ღვინო და სხვა. ასევე საქართველო ჩართულ იქნა იმ მესამე ქვეყნების სიაში, საიდანაც შესაძლებელია თაფლის, შავი ზღვის თევზისა და თევზპროდუქტების, ლოკოკინების ექსპორტი.

ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა

მიუხედავად ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული შედეგებისა, საქართველო მუშაობს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციაზე, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმებით. მნიშვნელოვანია ახალი დინამიზმი შევძინოთ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს და უზრუნველვყოთ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ქვეყნის კანონმდებლობის მაქსიმალური დაახლოება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა (RoadMap2EU).

საგზაო რუკითა და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რეფორმების ეფექტიანმა განხორციელებამ, უნდა უზრუნველყოს საქართველოს მზაობა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის.

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობის შედეგად.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია

2017 წლის მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ უვიზოდ იმოგზაურონ ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყნებში. უვიზო მიმოსვლის პირობებში საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომია ევროპის ქვეყნებში დაუბრკოლებელი მოგზაურობა.

სახეზეა ხელშესახები და კონკრეტული შედეგები სხვადასხვა მიმართულებით, როგორიც არის ტურიზმის განვითარება, ახალი ბიზნეს-კავშირების გაღრმავება, სტუდენტების გაცვლითი პროგრამების გააქტიურება, პროფესიონალებს შორის ჩამოყალიბებული პარტნიორული კავშირები და ზოგადად, გაღრმავებული ხალხთაშორისი კულტურული ურთიერთობები. ეს მონაპოვარი ქვეყნის ხელისუფლების მიერ წარმატებით გატარებული რეფორმების პირდაპირი შედეგია.

თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის კუთხით. ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის პროცესში ისეთი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების საშუალებით, როგორიცაა: ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები, სპეციალური წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს კრიზისის საკითხებში, მონიტორინგის მისია, არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკა. თავის მხრივ, საქართველოსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას ემსახურება. ამჟამად, საქართველო ჩართულია ევროკავშირის ორ მიმდინარე საწვრთნელ მისიაში ცენტრალური აფრიკისა და მალის რესპუბლიკებში.

2017 წლიდან, უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით მოქმედებს საქართველო-ევროკავშირის სტრატეგიული დიალოგი უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც განიხილავს საერთო გამოწვევებს, მათზე რეაგირების გზებს და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საკითხს.

ევროკავშირთან დაკავშირებადობის გაძლიერება

ევროკავშირთან დაკავშირებადობის გაძლიერება ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ციფრულ სფეროებში, მათ შორის შავ ზღვაზე, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

ეს, პირველ რიგში, დაეხმარება საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით გახსნილი შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისებაში და ამასთანავე, ხელს შეუწყობს ქვეყნის როგორც რეგიონული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ჰაბის ფუნქციის შესრულებაში. ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

შექმნილია საქართველო-ევროკავშირის მაღალი დონის დიალოგი, რომლის ფარგლებშიც მხარეებს საშუალება ეძლევათ, გამართონ რეგულარული მოლაპარაკებები.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ჩართულია ტრანსევროპულ სატრანსპორტო ქსელში (TEN-T - Trans-European Transport Network), რომელიც მიზნად ისახავს ავტოსაგზაო, რკინიგზის, შიდა წყლის ტრანსპორტის, აეროპორტების, საზღვაო პორტების, შიდა წყლის პორტებისა და მოძრაობის მართვის სისტემების კოორდინაციის გაუმჯობესებას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის ჩქაროსნული მარშრუტების განვითარებას მთელი ევროპის მასშტაბით.

საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარეა, რაც ხელს უწყობს ენერგეტიკის დარგში ევროპული პოლიტიკის დამკვიდრებასა და საერთო ევროპულ ენერგეტიკულ ბაზარზე ქვეყნის ინტეგრაციას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ამოქმედებულია ერთიანი საავიაციო სივრცის შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ევროკავშირის საავიაციო სფეროში საკანონმდებლო დაახლოებასა და ბაზარზე ინტეგრაციას.

თანამშრომლობა ევროკავშირის სააგენტოებთან და პროგრამებთან

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის სპეციალიზირებულ სააგენტოებთან, რაც ხელს უწყობს კონკრეტულ სფეროებში ევროკავშირთან სამართლებრივი და ინსტიტუციური თავსებადობის მიღწევას და თავისთავად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ისეთ სააგენტოებთან როგორიცაა EUROPOL (ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტო), FRONTEX (ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო), CEPOL (სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტო), EASA (ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო), EUIPO (ევროპის ინტელექტუალური საკუთრების უწყება), EMCDDA (ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრი), EUROJUST (ევროკავშირის სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის სააგენტო), EMSA (ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტო).

საქართველო აქტიურადაა ჩართული ევროკავშირის სხვადასხვა მობილობის პროგრამებში, მათ შორის განსაკუთრებით წარმატებით მონაწილეობს ევროკავშირის ჩარჩო პროგრამაში Erasmus+, რომელიც ეხმარება საქართველოდან სტუდენტებსა და უნივერსიტეტების სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალს, ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

2016 წლიდან საქართველო გახდა „ჰორიზონტი 2020“-ის ასოცირებული წევრი, რომელიც საქართველოს აძლევს საშუალებას განავითაროს თანამშრომლობა ევროკავშირთან მეცნიერებასა და ინოვაციების სფეროში. 2015 წლიდან საქართველომ, პირველმა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, ხელი მოაწერა შეთანხმებას „შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს აძლევს უნიკალურ საშუალებას ჩაერთონ ერთობლივ კულტურულ პროექტებში და გაიზიარონ ევროპული გამოცდილება. 2021 წლის დეკემბერში, საქართველომ მოაწერა ხელი, როგორც მომავალ 2021 – 2027 წლების „ჰორიზონტი ევროპის“ პროგრამაში მონაწილეობასთან დაკაშირებით, ასევე გააფორმა ახალი შეთანხმება ევროკაშირთან მომავალ 2021 – 2027 წლების შემოქმედებითი ევროპის პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

აღმოსავლეთ პარტნიორობა

ზემოთქმული შედეგების მიღწევაში დიდი როლი ითამაშა „აღმოსავლეთ პარტნიორობამ“, რომელსაც 2009 წელს ევროკავშირმა, წევრმა სახელმწიფოებმა და ექვსმა აღმოსავლეთ ევროპულმა პარტნიორმა ქვეყანამ (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა, სომხეთი, საქართველო) ჩაუყარეს საფუძველი ურთოერთობების ახალ დონეზე აყვანას. „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ შესაძლებლობას აძლევს თითოეულ პარტნიორ ქვეყანას, თავად აირჩიოს ევროკავშირთან ინტეგრაციისა თუ თანამშრომლობის სასურველი ხარისხი, რაც ამ პოლიტიკური პროექტის წარმატებას განსაზღვრავს. გასული წლების განმავლობაში „აღმოსავლეთ პარტნიორობამ“ შთამბეჭდავი შედეგები მოიტანა: ხელი შეუწყო ურთიერთობების გაძლიერებას არა მხოლოდ ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს, არამედ უშუალოდ პარტნიორ ქვეყნებს შორის; შექმნა მყარი საფუძველი სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგეტიკული თუ სატრანსპორტო კავშირების გაღრმავებისთვის; ჩამოყალიბდა ძლიერი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი და პარტნიორი ქვეყნები ერთმანეთს უზიარებენ ცოდნასა და საუკეთესო პრაქტიკას.

საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ აქტიური ქვეყანაა და ამოქმედებული აქვს ინიციატივით გახსნილი თითქმის ყველა შესაძლებლობა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი წარმატებული პროექტი არის საქართველოში ევროპული სკოლის მშენებლობა. ეს ინოვაციური ინიციატივა ემყარება 2018 წლის სექტემბერში დაწყებულ საპილოტე სასტიპენდიო პროგრამას, რომელიც 16 და 17 წლის მოსწავლეებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან სთავაზობს სპეციალურად შემუშავებული ევროპული სკოლის მსგავს აკადემიურ პროგრამას.

არსებული მიღწევების ფონზე, შემუშავდა და 2021 წლის დეკემბერში აღპ-ს სამიტმა დაამტკიცა პარტნიორობის 2020 წლის შემდგომი ახალი დღის წესრიგი, რომელიც ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს: მმართველობასა და ინვესტიციებს. პარტნიორი ქვეყნების

სოციო-ეკონომიკურ გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა, რომელიც თითოეული ქვეყნისთვის საფლაგმანო ინიციატივებს მოიცავს. გეგმა საქართველოს 5 საფლაგმანო ინიციატივას ითვალისწინებს, კერძოდ: შავი ზღვის დაკავშირებულობა - მონაცემთა (data) და ენერგეტიკული კავშირების გაუმჯობესება ევროკავშირთან; სატრანსპორტო დაკავშირებულობა შავ ზღვაში - ფიზიკური კავშირის გაუმჯობესება ევროკავშირთან; მდგრადი ეკონომიკური გაჯანსაღება - 80 ათასი მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ DCFTA-ს პოტენციალის სრულად გამოყენება; ციფრული დაკავშირებულობა მოქალაქეებისთვის - სწრაფი ინტერნეტის ინფრასტრუქტურა 1 000 სოფლისთვის; ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება - სუფთა ჰაერი 1 მილიონზე მეტი ადამიანისთვის თბილისში.

ევროკავშირის ფინანსური დახმარება

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ევროკავშირის ფინანსურ დახმარებას, რომელიც ევროკავშირის სხვადასხვა დახმარების ინსტრუმენტების საშუალებით ხორციელდება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, ევროკავშირის დახმარებამ საქართველოსთვის 2 მილიარდ ევროს გადააჭარბა, ხოლო ყოველწლიურად ევროკავშირის დახმარების მოცულობა დაახლოებით 120 მილიონ ევროს შეადგენს. თანხები მიმართულია ისეთი სფეროების მხარდასაჭერად, როგორიცაა კანონის უზენაესობა, სოფლის მეურნეობა, საჯარო მმართველობა, განათლება, ეკონომიკური განვითარება და ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება.

რა სახის რეაგირება უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ხელყოფისას?

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, მისი მოძრავი და უძრავი ძეგლები დაცულია ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით. UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის 3 (მცხეთის ისტორიული ძეგლები, გელათის მონასტერი და ზემო სვანეთი) და 1 ბუნებრივი (კოლხეთის ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები) ძეგლი, რომლებსაც ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად ასევე იცავს UNESCO-ს კონვენცია მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ.

ნებისმიერი სტატუსის მქონე კულტურული ფასეულობის ხელყოფისა ან დაზიანების, მათ შორის უკანონო არქეოლოგიური სამუშაოების აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან მიმართვის საფუძველზე, წარმართოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად).

ასეთი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, სამართალდამცველ ორგანოებთან დაკავშირება შესაძლებელია, როგორც ადგილზე რეგიონული ერთეულების შეტყობინებით, ასევე 112 ცხელი ხაზის მეშვეობით. გარდა ამისა, შესაძლებელია სოციალური ქსელებით ან ელ-ფოსტით მიემართოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ფაქტზე რეაგირების მოთხოვნით.

პასპორტის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევა

პასპორტის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში ფაქტის შესახებ პირველ რიგში აცნობეთ პოლიციის უახლოეს განყოფილებას. თუ თან გაქვთ პასპორტის ასლი, დაურთეთ იგი განცხადებას. ეს თავიდან აგაცილებთ სხვა პირის მიერ თქვენი პასპორტის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ამგვარად, პოლიციაში შეგიძლიათ მიიღოთ ცნობა, პასპორტის დაკარგვის თაობაზე.

პასპორტის დაკარგვის ან მოპარვის ფაქტი აცნობეთ თქვენი ქვეყნის საკონსულოს

პასპორტის დაკარგვის ან მოპარვის ფაქტი ასევე აუცილებლად აცნობეთ თქვენი მოქალაქეობის ქვეყნის უახლოეს საელჩოს ან საკონსულოს. თუ თან გაქვთ პასპორტის ასლი, დაურთეთ იგი განცხადებას.

დაკარგული ან მოპარული პასპორტის შეცვლა

ახალი პასპორტის აღებას, როგორც წესი, საზღვარგარეთ საკმაო დრო სჭირდება, ამიტომ გაითვალისწინეთ, რომ პასპორტის ნაცვლად, სამშობლოში დასაბრუნებლად შეგიძლიათ თქვენი ქვეყნის საელჩოში ან საკონსულოში მიიღოთ დროებითი პასპორტი ან დროებითი სამგზავრო დოკუმენტი. გაითვალისწინეთ, რომ დროებითი დოკუმენტი, როგორც წესი, გაიცემა მოკლე ვადით და მგზავრობის შეზღუდული უფლებით.

მოგზაურობისას დოკუმენტები შეინახეთ უსაფრთხო ადგილას

არსებობს რამდენიმე მარტივი პროცედურა, რაც თავიდან აგაცილებთ დოკუმენტის დაკარგვას ან შეგიმცირებთ დაკარგვისგან გამოწვეულ ზიანს:

- დაასკანერეთ ან გააკეთეთ ისეთი დოკუმენტების ფოტოასლები, როგორებიცაა: პასპორტი, პირადობის მოწმობა, დაზღვევა და ა.შ.;
- გადაიგზავნეთ დასკანერებული დოკუმენტები ელექტრონულ ფოსტაზე, რათა ყოველთვის მარტივად შეძლოთ მათი ამობეჭდვა;
- თან იქონიეთ დოკუმენტების ასლები;
- შეინახეთ დოკუმენტები სასტუმროში უსაფრთხო ადგილას და თან იქონიეთ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.

საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ ასევე დაუკავშირდეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს, ცხელი ხაზის მეშვეობით: (+995 32) 294 50 50, ელ. ფოსტა: consulinfo@mfa.gov.ge.

თქვენი ქვეყნების საელჩოებისა და საკონსულოების საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: www.mfa.gov.ge

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი: www.mfa.gov.ge

საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის ქვეყნების საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების, გენერალური საკონსულოების, საპატიო კონსულების საკონტაქტო მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ აქ:

https://mfa.gov.ge/MainNav/EmbassiesRepresentations/ForeignEmbassiesMissionsGeorgia.aspx

საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების (დაფარვის ქვეყნების მითითებით), გენერალური საკონსულოების, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი წარმომადგენლობების საკონტაქტო მონაცემების შეგიძლიათ იხილოთ აქ:

https://mfa.gov.ge/MainNav/EmbassiesRepresentations/GeorgianMissionsAbroad.aspx

საქართველოში უცხო ქვეყნების საპატიო კონსულების საკონტაქტო მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ აქ:

https://mfa.gov.ge/MainNav/EmbassiesRepresentations/HC-of-foreign-countries.aspx

საზღვარგარეთ საქართველოს საპატიო კონსულების საკონტაქტო მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ აქ:

https://mfa.gov.ge/MainNav/EmbassiesRepresentations/HonoraryConsulsGeorgia.aspx

დანართი 1

23 მარტის მდგომარეობით

საქართველოს მიერ განხორციელებული საერთაშორისო ორგანიზაციებში ქმედებები

რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და უკრაინის მხარდასაჭერად

გ ა ე რ ო

- გენერალური ასამბლეა. გაკეთდა განცხადება, მივუერთდით EU განცხადებას (23 თებერვალი).
- უშიშროების საბჭო. დავასპონსორეთ რეზოლუციის პროექტი, მივუერთდით EU განცხადებას, მივუერთდით სხდომის შემდეგ გაკეთებულ ერთობლივ განცხადებას (25 თებერვალი).
- უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ევროპისა და სხვა ქვეყნების UNESCO-ს ეროვნული კომისიების ერთობლივი განცხადება. საქართველო მიუერთდა განცხადებას (26 თებერვალი).
- გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია. გაკეთდა განცხადება, დავასპონსორეთ რეზოლუციის პროექტი, მივუერთდით EU განცხადებას (28 თებერვალი).
- მინისტერიალ-პანელი ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში. მინისტრმა გააკეთა განცხადება; საქართველო გახდა ღონისძიების თანასპონსორი (1 მარტი).
- ადამიანის უფლებათა საბჭოს მაღალი დონის სეგმენტი. მინისტრის პირველმა მოადგილემ გააკეთა განცხადება (2 მარტი).
- გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი კომიტეტის 121-ე შეხვედრის დღის წესრიგში საკითხის - „უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები UNICE-ს რეგიონში“ დამატებასთან დაკავშირებით კენჭისყრა (roll call). საქართველომ მხარი დაუჭირა საკითხის დღის წესრიგში დამატებას. საქართველომ გააკეთა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება. საქართველო ასევე მიუერთდა ევროკავშირის განცხადებას (3 მარტი).
- ადამიანის უფლებათა საბჭოს საგანგებო დებატები. მხარი დავუჭირეთ მოთხოვნას. დავასპონსორეთ დებატის ფარგლებში მისაღები რეზოლუციის პროექტი. გაკეთდა განცხადება (3-4 მარტი).

- გენერალურ ასამბლეაზე გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშზე - „Our Common Agenda“ რიგით მეოთხე, ღია და ინკლუზიური თემატური კონსულტაცია. გაკეთდა განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (3 მარტი).
- შეხვედრა უშიშროების საბჭოს რეფორმის საკითხზე სამთავრობათაშორისო მოლაპარაკებების (IGN) ფარგლებში. გაკეთდა განცხადება (7 მარტი).
- უშიშროების საბჭოს ღია დებატები. გაკეთდა განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (8 მარტი).
- დღის წესრიგის მე-2 საკითხზე გენერალური დებატები ადამიანის უფლებათა საბჭოს 49-ე სესიის ფარგლებში. გაკეთდა განცხადება (8 მარტი).
- UNHCHR-ის აღმასრულებელი კომიტეტის მუდმივმოქმედი კომიტეტის 83-ე შეხვედრა. გაკეთდა განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (9 მარტი).
- კულტურულ უფლებებზე გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან ინტერაქტიული დიალოგი, ადამიანის უფლებათა საბჭოს 49-ე სესიის ფარგლებში. გაკეთდა განცხადება (9 მარტი).
- ბავშვებით ვაჭრობის საკითხზე (SR on the sale of children) გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან ინტერაქტიული დიალოგი, ადამიანის უფლებათა საბჭოს 49-ე სესიის ფარგლებში გაკეთდა განცხადება (9 მარტი).
- უშიშროების საბჭოს არია ფორმულის შეხვედრა - „Climate Finance for Sustainable Peace and Security“ . მივუერთდით EU განცხადებას (9 მარტი).
- გენერალური ასამბლეის რევიტალიზაციის საკითხზე Ad-Hoc სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. მივუერთდით EU განცხადებას (9 მარტი).
- რელიგიის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალურ მომხსენებლთან იტერაქტიული დიალოგი, ადამიანის უფლებათა საბჭოს 49-ე სესიის ფარგლებში. გაკეთდა განცხადება (10 მარტი).
- პირადის სივრცის ხელშეუხებლობის უფლებაზე გაეროს სპეციალურ მომხსენებლთან ინტერაქტიული დიალოგი, ადამიანის უფლებათა საბჭოს 49-ე სესიის ფარგლებში. გაკეთდა განცხადება (10 მარტი).
- გარემოს დაცვის და ადამაინის უფლებათა საკითხებზე გაეროს სპეციალურ მომხსენებლთან იტერაქტიული დიალოგი, ადამიანის უფლებათა საბჭოს 49-ე სესიის ფარგლებში. გაკეთდა განცხადება (10 მარტი).
- გენერალურ ასამბლეაზე გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშზე - „Our Common Agenda-ს განხილვების ფარგლებში, რიგით მეხუთე, ღია და ინკლუზიური თემატური კონსულტაცია. გაკეთდა განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (10 მარტი).
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 49-ე სესიის ფარგლებში გამართული ინტერაქტიული დიალოგი, წამების წინააღმდეგ გაერო-ს სპეციალურ მომხსენებელთან. გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (11 მარტი).

- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 49-ე სესიის ფარგლებში გამართული ინტერაქტიული დიალოგი, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე გაერო-ს სპეციალურ მომხსენებელთან. გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (14 მარტი).
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 49-ე სესიის ფარგლებში გამართული ინტერაქტიული დიალოგი, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების დაცვის საკითხებში სპეციალურ მომხსენებელთან. გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (14 მარტი).
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 49-ე სესიის ფარგლებში გამართული ინტერაქტიული დიალოგი ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან. გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (15 მარტი).
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 49-ე სესიის ფარგლებში გამართული ინტერაქტიული დიალოგი გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტის თემაზე. გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (15 მარტი).
- გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW) 66-ე სესია. მივუერთდით EU განცხადებას უკრაინაში ქალთა და გოგონათა მდგომარეობის შესახებ (15 მარტი).
- გაერო-ს ქალთა სტატუსის კომისიის 66-ე სესიის ფარგლებში, მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართული დისკუსიისას საქართველოს განცხადებაში ხაზი გაესვა უკრაინისადმი მხარდაჭერა (15 მარტი).
- UNESCO-ს მე-7 სპეციალური სესიის ფარგლებში UNESCO-ს აღმასრულებელი საბჭოს რეზოლუცია - “The current situation in Ukraine in all aspects of UNESCO’s mandate“. საქართველო გახდა რეზოლუციის თანასპონსორი (15 მარტი).
- UNESCO-ს აღმასრულებელი საბჭოს საგანგებო სესიაზე ევროკავშირის განცხადება - “EU Statement on the Russian unprovoked and unjustified invasion in Ukraine”. საქართველო მიუერთდა განცხადებას (15 მარტი).
- გაერო-ს ქალთა სტატუსის კომისიის 66-ე სესიის ფარგლებში გამართულ პარალელურ ღონისძიებაზე - "Tackling gender inequalities to advance human rights, Climate Adaptation and Climate Justice" საქართველოს განცხადებაში ხაზი გაესვა უკრაინისადმი მხარდაჭერას (16 მარტი).
- ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონფერენციის (Fifth United Nations Conference on the Least Developed Countries (LDC5)) ფარგლებში მივუერთდით EU-ს განცხადებას.
- ადამიანის უფლებათა საბჭოს 49-ე სესიის ფარგლებში გამართული ინტერაქტიული დიალოგი, ადეკვატური საცხოვრებლის უფლების დაცვის საკითხებში სპეციალურ მომხსენებელთან. საქართველოს განცხადებაში ხაზი გაესვა უკრაინისადმი მხარდაჭერას (17 მარტი).

- გაერო-ს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW) 66-ე სესიის გენერალური დისკუსია (სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხათუნა თოთლაძე). გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (17 მარტი).
- უკრაინის თაობაზე უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის ფარგლებში გავრცელდა საქართველოს უკრაინისადმი მხარდამჭერი წერილობითი განცხადება (17 მარტი).
- ბავშვებსა და SDGs-ზე მეგობართა ჯგუფის (Group of Friends of Children and the SDGs) სახელით, ჯგუფის თანა-თავმჯდომარეების ბულგარეთის, ლუქსემბურგისა და იამაიკის მიერ ინიცირებული ერთობლივი განცხადება ნიუ-იორკში მისიების დონეზე უკრაინაში ბავშვთა მდგომარეობის შესახებ. მივუერთდით განცხადებას (18 მარტი).
- გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 49-ე სესიის ფარგლებში გამართული ზეპირი მიმოხილვა ვენესუელასთან დაკავშირებით. გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (18 მარტი).
- გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 49-ე სესიის ფარგლებში გამართული მიმოხილვა სირიის არაბთა რესპუბლიკასთან დაკავშირებით. გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (18 მარტი).
- გაერო-ს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის ოფისის (OCHA) ორგანიზებით გამართული ვირტუალური ბრიფინგი უკრაინასა და მეზობელ ქვეყნებში ჰუმანიტარული სიტუაციის შესახებ. გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (18 მარტი).
- მთავრობათაშორისი კომიტეტის საგანგებო სესია - „შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვა“. კომიტეტმა მიიღო დეკლარაცია უკრაინის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. UNESCO-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მიერ გაკეთდა მხარდამჭერი განცხადება. საქართველომ მხარი დაუჭირა კომიტეტის დეკლარაციას. (18 მარტი).
- რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის გლობალურ სასურსათო სისტემაზე გავლენის გათვალისწინებით, გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) საბჭოს რიგგარეშე სესიის ჩატარების მოთხოვნის თაობაზე წერილი. მივუერთდით წერილს (21 მარტი).
- გაერო-ს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW) 66-ე სესიის ფარგლებში აშშ-ის მიერ ინიცირებული განცხადება უკრაინაში ქალთა და ბავშვთა მდგომარეობის თობაზე. მივუერთდით განცხადებას (21 მარტი).
- გაერო-ს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW) 66-ე სესიის ფარგლებში პოლონეთის, ალბანეთის, ესტონეთისა და გაერთიანებული სამეფოს ორგანიზებით გამართული პარალელური ღონისძიება - „ეუთოს სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპაში ქალთა უფლებების დამცველების მიმართ ძალადობისა და მათი უფლებების დაცვის საკითხზე". გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (21 მარტი).

- გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 49-ე სესიის ფარგლებში პოლონეთის მიერ ინიცირებული განცხადება (Cross-regional joint statement) რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა დარღვევების თაობაზე. მივუერთდით განცხადებას (21 მარტი).
- გაერო-ს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW) 66-ე სესიის ფარგლებში კანადის, უკრაინის, ლატვიისა და ნიდერლანდების ორგანიზებით გამართული პარალელური ღონისძიება - „The impact on women and girls of the unjustified invasion of Ukraine". გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (22 მარტი).
- გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 49-ე სესიის ფარგლებში გამართული გენერალური დებატი ადამიანის უფლებათა მდგომარეობებზე, რომლებიც საჭიროებენ საბჭოს ყურადღებას. გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება (22 მარტი).
- ალბანეთის, კოლუმბიის, დანიის, მარშალის კუნძულების, ნიდერლანდებისა და უკრაინის ინიციატივით შექმნილი მეგობართა ჯგუფი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის შედეგად პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით (Group of Friends [GoF] of Accountability following the Aggression against Ukraine). გავწევრიანდით მეგობართა ჯგუფში (23 მარტი).
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფარგლებში გაკეთებული ერთობლივი განცხადება თემაზე - Presentation of the resolution on the Russian Federation's aggression against Ukraine from the perspective of the mandate of the International Labour Organization (ILO). მივუერთდით განცხადებას (23 მარტი).

Pending Cases:

- TBC ევროპის რეგიონალური კონფერენციის დღის წესრიგში პუნქტის - „უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად გამოწვეული გავლენები მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოებაზე, სოფლის მეურნეობასა და სურსათის ფასებზე." (23 მარტი).
- TBC UNESCO-ს მეგობართა ჯგუფის განცხადება - „UNESCO Information meeting: Actions for Ukraine, following the decision of the Executive Board's Special session" (24 მარტი).
- TBC -ს მეგობართა ჯგუფის განცხადება - „UNESCO Information meeting on the follow-up of the situation in the Autonomous Republic of Crimea (Ukraine) pursuant to the Executive Board decisions" (24 მარტი).

- მუდმივი საბჭო. გაკეთდა განცხადება, მივუერთდით EU განცხადებას (21 თებერვალი).
- გაძლიერებული მუდმივი საბჭო. მინისტრის პირველმა მოადგილემ გააკეთა განცხადება, მივუერთდით EU განცხადებას (22 თებერვალი).
- უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმი. რუსეთის განცხადების საპასუხოდ გაკეთდა განცხადება, მივუერთდით EU განცხადებას (23 თებერვალი).
- გაძლიერებული მუდმივი საბჭო. მინისტრმა გააკეთა განცხადება, მივუერთდით EU განცხადებას (24 თებერვალი).
- საპარლამენტო ასამბლეა. დელეგაციის ხელმძღვანელმა გააკეთა განცხადება (24 თებერვალი).
- მუდმივი საბჭო. გაკეთდა განცხადება, მივუერთდით EU განცხადებას (27 თებერვალი).
- ვენის დოკუმენტის შესახებ შეფასების ყოველწლიური შეხვედრა. გაკეთდა მხარდამჭერი განცხადება. მივუერთდით ევროკავშირის განცხადებას (1 მარტი).
- უკრაინაში ბირთვულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მმართველთა საბჭოს სპეციალური სხდომა. გაკეთდა განცხადება. მივუერთდით ევროკავშირის განცხადებას (2-3 მარტი).
- მხარი დავუჭირეთ შესაბამისი მექანიზმის ამოქმედებას, რომელიც გაგზავნის მისიას უკრაინაში, შესაძლო ომის დანაშაულების, კაცობრიობის წინაშე დანაშაულებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების გამოსაკვლევად (2 მარტი).
- მუდმივი საბჭო. გაკეთდა განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (3 მარტი).
- მუდმივი საბჭო. გაკეთდა განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (7 მარტი).
- ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მმართველთა საბჭოს რეგულარული შეხვედრა. გაკეთდა განცხადება. მივუერთდით ევროკავშირის განცხადებებს (7-11 მარტი).ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა. მივუერთდით ევროკავშირის განცხადებას (8-11 მარტი).
- უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმი, გაკეთდა განცხადება. (9 მარტი).
- უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობის ფორუმი (FSC). გაკეთდა განცხადება. მივუერთდით ევროკავშირის განცხადებას (9 მარტი).
- მუდმივის საბჭო. დღის წესრიგის საკითხზე - „რუსეთის მიმდინარე აგრესია უკრაინის წინააღმდეგ“ გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (10 მარტი).
- უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმი, გაკეთდა განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (16 მარტი).

- მუდმივის საბჭო. დღის წესრიგის საკითხზე - „რუსეთის მიმდინარე აგრესია უკრაინის წინააღმდეგ“ გაკეთდა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება. მივუერთდით EU განცხადებას (17 მარტი).

ევროპის საბჭო

- მინისტრთა მოადგილეების კომიტეტი. გაკეთდა განცხადება (23 თებერვალი).
- მინისტრთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება წესდების მე-8 მუხლის ამოქმედებაზე. მხარი დავუჭირეთ გადაწყვეტილებას (24 თებერვალი).
- მინისტრთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, მინისტრთა კომიტეტში და საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთს შეუჩერდა წარმომადგენლობითი უფლებები. მხარი დავუჭირეთ გადაწყვეტილებას (25 თებერვალი).
- მინისტრთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, შეჩერების სამართლებრივი და ფინანსური შედეგების შესახებ. მხარი დავუჭირეთ გადაწყვეტილებას. გაკეთდა განცხადება (2 მარტი).
- მინისტრთა მოადგილეების კომიტეტი. გაკეთდა განცხადება (2 მარტი).
- მინისტრთა მოადგილეების კომიტეტი. გაკეთდა განცხადება (4 მარტი).
- მინისტრთა კომიტეტმა კონსენსუსით მიიღო გადაწყვეტილება კონსულტაციისთვის მიმართოს საპარლამენტო ასამბლეას წესდების მე-8 მუხლის ამოქმედების მიზნით, რომელიც წარმომადგენლობის უფლების შეჩერების გარდა ითვალისწინებს ორგანიზაციიდან გარიცხვას (10 მარტი).
- საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) ერთხმად მიიღო მოსაზრება (მხარდაჭერა - 216, მათ შორის საქართველო, არც ერთი მოწინააღმდეგე, თავშეკავება - 3), რომლითაც მოუწოდებს მინისტრთა კომიტეტს მოსთხოვოს რუსეთს ევროპის საბჭოდან გასვლა და თუ რუსეთი არ შეასრულებს მოთხოვნას დაადგინოს რუსეთის ორგანიზაციიდან გაძევების თარიღი (14-15 მარტი).
- საპარლამენტო ასამბლეის (PACE) საგანგებო სესია. საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა, ირაკლი ჩიქოვანმა და წევრებმა თამარ ტალიაშვილმა და ხატია დეკანოიძემ გააკეთეს განცხადებები (14-15 მარტი).
- მინისტრთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება (ორგანიზაციის წესდების მე-8 მუხლით გათვალისწინებული პროცედურით) ევროპის საბჭოდან რუსეთის გაძევების შესახებ. გაძევებიდან ექვსი თვის განმავლობაში რუსეთი რჩება ევროპი საბჭოს ადამიანის უფლებათა კონვენციის მხარე (16 მარტი).

სასამართლოები

- მხარი დავუჭირეთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსადმი (ICC) მიმართვას გამოძიების დაწყების თაობაზე (2 მარტი).
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წერილით მიმართა ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოთა კონფერენციას, რომ კენჭისყრაზე დადგეს ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოთა კონფერენციაში რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის შეწყვეტის საკითხი (7 მარტი).

დემოკრატიათა თანამეგობრობა

- მმართველი საბჭო. მივუერთდით ერთობლივ განცხადებას (24 თებერვალი).
- მმართველი საბჭოს საგანგებო სხდომა. მინისტრის პირველმა მოადგილემ გააკეთა განცხადება განცხადება (2 მარტი).

საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდა-ევროპული ორგანიზაცია (IOTA)

- საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდა-ევროპული ორგანიზაციის აღმასრულებელმა საბჭომ საგანგებო შეხვედრისას 9 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, რუსეთისა და ბელარუსისთვის ორგანიზაციის ფარგლებში ყველა ადმინისტრაციული და ტექნიკური საქმიანობა დაუყოვნებლივი შეჩერების თაობაზე. საქართველომ მხარი დაუჭირა აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის ტელეკომუნიკაციების სტანდარტიზაციის მსოფლიო ასამბლეა

- 1-9 მარტს გაიმართა ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის ტელეკომუნიკაციების სტანდარტიზაციის მსოფლიო ასამბლეა, რომლის ფარგლებშიც მ.წ. 9 მარტს პლენარულ სესიაზე განხილულ იქნა ორგანიზაციის სასწავლო ჯგუფების თავმჯდომარეებისა და თავმჯდომარის მოადგილეების პოზიციაზე კანდიდატების, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების დამტკიცების საკითხი. შეთანხმდა თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების კანდიდატების ახალი სია (მასში ჩანაცვლებულია რუსეთის კანდიდატები), რომელსაც ასამბლეაზე კენჭი ეყარა. ფარული კენჭისყრის შედეგად ევროკავშირის მიერ ინიცირებულ სიას მხარი დაუჭირა საქართველომ (სია დამტკიცდა). სესიის მსვლელობის პარალელურად, უკრაინის ინიციატივით, მომზადდა წერილი საფოსტო და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციების ევროპულ კონფერენციას (CEPT) რუსეთისა და ბელარუსისთვის წევრობის შეჩერების მოთხოვნით. წერილს ხელი მოაწერა საქართველომ.